



# საქართველო ფურცელი

საქართველო ენციკლოპედია

გვ. № 461

ლ. № 82

კვირა, 20 დეკემბერი 1915 წ.



არქიმანდრიტი პიროსი. იწმინება ალავერდის ეპისკოპოსად.

საქართველოს სიძველენი.



ჯვარის მონასტერი (აგებულია მე-VII საუკ.)

# საქართველოს სიძველენი



აფხუზის ღვთისმშობელი („ბაგრატის ლოცვა“).



ფეოკამელის ღვთისმშობლის ხატი.

## უმეტესთვის სტუმარი

მოხველ მაშინ, როს მიდამოს შემოდგომა ფერს უცვლიდა,  
როცა სუსხი ყვავილებსა დამჟკნარ ფოთლებს შეაცლიდა,  
და ნიაფი ამ ფოთლებსა გასაფანტად, გასაშლელად  
მიითვლიდა...

გამიღიმე, თვალთა ხომლი ააქროთმე ვით ცისკარი,  
და ეგ მარჯნის ფოლაქებით დაკეტილი ლოცვის კარი—  
თეთრ სადაფის დანამ გასკრა...—ბაგე ამოდ აიფურცლე  
და მითხარი:

— „დღეს ვიყავი მეფის ბაღში-ყვავილების საშოვნელად,  
ალისფერი ვარდი მსურდა-გვირგვინისა დასაწვენელად  
და ვერ ვპოვე,—მეფის ბაღი შემოდგომას გაღუბნა  
გულის მკვლელად!..“

მაშინ ჩემსა ბაღის კარებს—სხივთა რაზა შევახსენი,  
და ვარდები ნამ აცრილი, ალისფერად დანამშვენი—  
დაგიკრიფე და საჩუქრად-ერთის ნაცვლად, მთელი კონა  
მოგიძღვენი.—

გაჰკვირდი და ალტაცებამ ეს სიტყვები გათქმევინა:  
— „თუ კი სუსხმა, ყვავილები მეფის ბაღში მოაკვდინა,  
შემოდგომამ თვის სიცივე—შენს ბაღში ნუ თუ ველარ  
მოაწვდინა?!..“

\*

—ტურფავ, ასე რად გაჰკვირდი—ემავ მცირე სახსოვარზე?—  
ხშირად მეფეც ღარიბია—თვით უმწეო მათხოვარზე!..—  
მე უყვარვარ ჩემს უფალს და—მიტომ ჩემი შემოდგომაც  
გაზაფხულობს,—და ვარდს მირხევს ჩემსა ობოლ, მივიწყებულ  
ქობის კარზე!..

ს. ფაშალიშვილი.

# მასხოვს



მოხუცებული ლოტბარი დიმიტრი ჯალალანიძე

დიდი მცოდნე ძველი ქართული სიმღერა-გალობისა. მის გვერდითაა ცნობილი ლოტბარი ძუჭუ ლოლუა. (იხ. დღევანდელი გაზეთი).

მასხოვს... მასხოვს, გაზაფხულის დილა იყო, დილა წყნარი;  
ბაღში ვიჯექი... და ტკბილ ზღაპრებს მიაშობდა ნიაგ-ქარი;  
იქ ჩემს ახლოს ცისფერ იას მორცხვად თავი დაეხარა,  
იქ ცის ცვარით პირს იბანდა ქორთვა ვარდი ყელ-ყარყარა...  
ყურს ვუგდებდი ყვავილთ შრიალს, ყურს ვუგდებდი ბულბულის ხმას,  
სხივთა ლივლივს ვუერთებდი ჩემს ლალ ფიქრებს, ჩემს გულის თქმას.

დრო წავიდა, გაზაფხული სუსხს ზამთრისას მიეფარა...  
ზეცამ მიწას სევდის ცრემლი დააფრქვია, დააყარა...  
... ზამთრის სუსხმა შემილახა მე საყდარი წმინდათ-წმინდა:  
დასკვნა ბალი შვებით საგსე და ბულბულიც გამიფრინდა...  
ზამთარია, აღარ მესმის გაზაფხულის თბილი სუნთქვა;  
სდუმს მთა-ველი, სდუმს მიდამო... და მეც ვდუმვარ... ვდუმვარ ვით ქვა...

ი. ვადაქორია.

## ჰინესეზური

წუხელ სიზმარში ვნახე მინდორი  
ვრცელი და თოვლით გადალესილი,  
თოვლ ქვეშ ვემარხე საპარის სწორი  
და ზედ მებურა უსაზღვრო ძილი.  
ზეცით კი ვარსკვლავთ მილიონები  
დაჰკიჟინებდნენ ჩემს ობოლ საფლავს,  
ჩემკენ დაეშოთ სხივთ წამწამები  
და ეხვეოდა ვარსკვლავი ვარსკვლავს.  
ოჰ, იგი თვალნი იმ ღამისანი!  
მშვიდათ ბრწყინავდნენ ცის დასასრულში  
და არ იცოდნენ მათ კაემანი,  
და სიყვარული უღვივდათ გულში...

მოსკოვი.

ი. მჭედლიშვილი.

## სიყვარული სიკვდილზე უკლიაქონია

ნოველა დ. მერეჟოვსკისა.


ფლორენციის მიქალაქენი, ალმეირის უძლიერესი შთამომავალნი უხსოვარ დროიდან შეადგენენ ორ კეთილშობილ ამქარს: ერთნი



პრაპ. რაუდენ მძინარაშვილი  
დაქრილ. და ტყვედა წაყვანილი  
გერმანიაში).

ყასაბთა მფარველის წმ. ანტონის თაყვანის-  
მცემელნი იყვნენ, მეორენი კი ვერძს ხატავ-  
დნენ თავის დროშაზე და მატყლის მრეწვე-  
ლობას მიღედენ. ამ ამქართა წარმომად-  
გენელნი იყვნენ ძმანი ჯიოვანი და მათეო  
ალმეირები. ჯიოვანი ყასაბი იყო, სავაჭრო  
ძველ ბაზარ-ზე — Mercato Vecchio - ზე  
ჰქონდა. მათეოს კი მდ. არნოზე მოეწე-  
ყო მატყლის ქარხანა. მყიდველნი დიდი ხა-  
ლისით ეტანებოდნენ ჯიოვანის სავაჭროს,  
არამც თუ მარტო იმიტომ, რომ ყოველთვის

## სახალხო მოღვაწენი



სახალხო მასწავლებელი **ჰარამ. ჩხეიძე** (მოღვაწეობის  
40 წელი შეუსრულდა).



სახალხო მასწავლებელი **ლადო ბჟვანელი**. 25 წელიწადი ემსახურება  
სახალხო განათლების საქმეს, და 20 წელიწადი მოღვაწეობს სამწერლო  
ასპარეზზე.

იშოვებოდა მასთან ახალი შაშხი, ნორჩი ხბოს ხორცი, მსუქანი ბატები და ძეხვები, არამედ იმიტომაც, რომ სავაჭროს პატრონის მხიარული ხასიათი, ჩკეთი და მოქნილი ენა უყვარდათ. შემთხვევით გამგეღვლს, მეზობელს ან მუშტარს ისე მოხდენილად ვერავინ გაეხუმრებოდა, როგორც ყასაბი ალმიერი, ისე თავისუფლად ვერავინ გამოსტყვამდა თავის აზრსა და შეხედულებას ამ ქვეყნიურ ჭირ-ვარაიზე — ფლორენციის რესპუბლიკის დიპლომატიურ შეცდომათა შესახებ, ოსმალთა სულთნის გულთაზრახვაზე, საფრანგეთის მეფის ხრიკებსა და ვერაგობაზე, ან ქვრივი მეზობლის მოულოდნელ და უმიზეზო ორსულობის შესახებ, რომელიც ამ ბოლო დროს ხშირი სტუმარი შეიქნა მონასტრის, სადაც ღირსი ძმანი ჩერტოზიანნი ბინდრობდნენ. იშვიათად თუ თავილობდა ვინმე ყასაბის ოხუნჯობა-ხუმრობას და თავის გასამართლებლად ძველი ანდაზა მოჰყავდა: „ოხუნჯობით ჩირქი არ მოეცემა კეთილი მეზობლის სახელსა, ენა კი ვარჯიშდება და სამართებლის სიმკვეთრეს იძენსო.“

მატყლის მრეწველი მათეო სულ სხვა ადამიანი იყო. თავისებური ალერსიანი, ყოველთვის სახემოღუშული და გულჩათხრობილი, თავის საქმეებს უკეთესად აწარმოებდა, ვიდრე უდარდელი და ოხუნჯი ჯიოვანი და ყოველწლიურად მატყლის საქონლით დატვირთულ ორ ლომსად ისტუმრებდა ლავორნის ნავთსადგურიდან სტამბოლისაკენ. თავის თავზე დიდი წარმოდგენისა და პატივმოყვარე იყო, სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობათა ხელში ჩასაგდებ საშუალებად სთვლიდა ვაჭრობას, ყოველთვის არისტოკრატებს ელოლიავებოდა, „მსუქან ხალხს“ — *popolo grasso*, როგორც ფლორენციაში უწოდებდნენ, და, დაიმედებული იყო, რომ აღამაღლებდა ალმიერთა შთამომავლობას და საპატიო ადგილს დაიჭერდა, შეიძლება უკვდავეყო კიდევ მათი სახელი. უმცროს ძმას მათეოს ხშირად ურჩევდა მიეტოვებინა ყასაბობა, როგორც გვარისთვის შეუფერებელი ხელობა და მთელი ქონება მისი თანხისთვის მიემატებინა. ხოლო ჯიოვანი ყოველთვის უარს ეუბნებოდა და თუმცა პატივსა სცემდა ჭკვიანსა და „ლუტუნია“ ძმას — გულში კი ეშინოდა მისი და თუ პირში თქმას ვერ უზღვდა, ფიქრობდა მაინც: „ეკალზე ვარდი არ ამოვაო.“

ერთხელ სიცხე-პაპანაქებაში დაბრუნდა ღუქნიდან, ჩვეულებით-სამებრ მაღიანად ივანშია და თან ბერძნული, ცივი ღვინოც დააყოლა; ერთბაშად ცუდად შეიქნა, ლოგინში ჩაწვა და დამბლა დაეცა, რაც მით უფრო საშიში იყო, რომ გადაჭარბებული სიმსუქნე და მოკლე კისერი არავითარ სიკეთეს არ უქაიდიდნენ. წმ. საიდუმლოს მიუღებლად განუტევა სული იმავე ღამეს და ველარც ანდერძის დაწერა მოასწრო ამგვარ შემთხვევებში გამოუტყდელმა, მოკრძალებულმა და კეთილმა მონა ურსულამ, ჯიოვანის ქვრივმა, ქმრის სავაჭროს წარმოება მათეოს მიანდო, რომელმაც ტიბილი, შემპარავი და მოთაფლული სიტყვით მოხიბლა. მათეომ დაარწმუნა საბრალო ქალი, რომ განსვენებული, ქარაფშუტობისა და დაუდევრობის წყალობით, უგრომ-კაპეიკოდ მომკვდარა, აწეწილ-დაწეწილი დაუტოვებია საანგარიშო წიგნები და ამიტომ, თუ მისი ნებაც იქნება, უმჯობესია იხსნას დალუპვისაგან დანარჩენი ქონება მაინც და, ამ მიზნით, შესწყვიტოს ხორცეულობის ვაჭრობა და სამუდამოდ დახუროს საყასაბო *Mercato Vecchio*-ს ბაზარზე. ბოროტი ენები ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს ამ „მფლანგველმა ღუქუნამ“ უღმრთოდ მოატყუა ქვრივი, რომ სისრულეში მოეყვანა თვისი დიდხნის სურვილი და ჯიოვანის თანხა მატყლის წარმოებისთვის მიემატებინა. ერთი რამ კი ცხადი შეიქნა ყველასათვის: საარაკოდ გაიზარდა ამ დღიდან მათეოს წარმოება და ორის ნაცვლად ხუთ-ექვს ხომალდ ტოსკანის საუკეთესო მატყლსა ჰგზავნიდა კოსტანტინეპოლში. რამდენიმე წლის შემდეგ ფლორენციის სახელოვან *Arte di Jana*-ს მედროვის საპატიო თანამდებობას შეჰპირდნენ. განსვენებული ძმის მეუღლეს კი დიდსულოვან დახმარებას აღმოუჩინდა ყოველთვის უარად ისე, რომ სიმშლით არ მომკვდარიყო მონა ურსულა და გაჭირვებით ელოლიავებინა სიცოცხლე, მით უფრო, რომ ჯიოვანის ერთი ასულიც დარჩა, ერთად-ერთი საყვარელი არსება — ჯინევრა და იმ ჟამად ფლორენციაშიც ისევე ძნელი მოსაძებნი იყო საქმრო, რომელიც მზითევს არ გამოეკიდებდა, როგორც ჩვენს დროში. მაგრამ გულკეთილი მონა ურსულა არ დაეცა სულით, გულმოდგინედ ევედრებოდა ღვთისმსახურთ და განსაკუთრებით წმ. ანტონის, ვით სააქოს, ისე

იმ ქვეყნად ყასაბთა დაუტყრომელ მოსარჩლესა და მფარველს; იმის რწმენით ცოცხლობდა, რომ ქვრივთა და ობოლთა მფარველი უფალიორსებს მის ასულს კეთილსა და ღირსეულ ქჰარს და იმედებს უფრო ჯინევრას არაჩვეულებრივი სილამაზე უცხოველებდა.

ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ იმის სიმსხო და ისეთ მოუხეშავ და ლაზლანდარა ჯიოვანის ისეთი მშვენიერი ასული ჰყოლოდა.

ჯინევრა ყოველთვის თალხად და უბრალოდ იცვამდა; ამოჭრილი გულისპირიდან მოსჩანდა „რინს“ საუკეთესო ნაქსოვას პერანგის წვრილად დაყრილი ნაოჭი და, ვით ფლორენციის ყველა ბანოვანთ, მის ცოტად გამხდარ, გრძელ და მოხდენილ კისერს ამშვენებდა მარგალიტის საყელური, რომელზეც ძვირფასი ქვიდან გამოკვეთილი ცხენ-კაცი ეკიდა. ღია ოქროს ფერ თმას ჰფარავდა შუბლამდე ისეთი თხელი და გამსჭვირვალე ლეჩაქი, რომ ნათლად გაარჩევდა ადამიანი ერთი-მეორეზე რამდენჯერმე ვაზის ფოთლისა და ბლენცარას სახით გადახლართულ ნაწნავთ; ჯინევრას მკრთალი და მოკრძალების გამომხატველი სახე ფილიპპო ლიპპეს ნახატ მაღონნას, უბინო ქალწულს ჰგავდა, რომელიც წმ. ბერნარდს ევლინება უდაბნოში და ნაზი, სანთელივით ყვითელი, გრძელი თითებით უფურცლავდა წიგნს. ჯინევრას ბავშვის მზგავს ბავთა ზედა და მის მწუხარე გამოხედვაში, შუბლზე აკიმულ წარბებში ბოროტებისთვის შეუცნობელი უსახდგრო უბიწოებისა და სათნოების სახეობა იყო აღბეჭდილი. და თუმცა რიჟრაჟის სიოს სურნელებას და მონასტრის ზღუდეთა შორის დატყვევებულ შროშანის სიხალგავზდეს მოაფრქვევდა, თვით მაინც სუსტი მოსჩანდა, უდღეო, უმწეო, თითქო სასიცოცხლოდ არ იყო გაჩენილიო. როდესად ეკლესიისაკენ მიდიოდა ყასაბ ალმიერის ასული, მორიდებული, სათნო, თვალდახრილი, — ხელში სახარებით, — მხიარული ჰაბუქნი, რომელნიც წვეულებაზე ან სანადიროდ მისიწრაფოდნენ, შეაჩერებდნენ ცხენებს, ჩაფიქრდებოდნენ, შესწყვეტდნენ ხუმრობასა და ოხუნჯობას და დიდხნს უყურებდნენ მიმავალ მშვენიერ ჯინევრას. ბიძია მათეოს დიდი ქება ესმოდა დისწულის, ამიტომ გადასწყვიტა მიეთხოვებინა ხანში შესულ და ყველასაგან პატივცემულ, იმ დროინდელ ქალაქ ალბიცის მმართველ წრებთან დაახლოვებულ, ფლორენციის რესპუბლიკის ერთ-ერთ მდივან ფრანჩესკო დელი აგოლანტისთვის. ლათინურის დიდი მკოდნე იყო, რომელიც ყოველგვარ მიწერ-მოწერას ტიტლივუსის და სალიუსტის აღფრთოვანებული კილოთი აწარმოებდა, — რამდენიმედ მკაცრი და მიუკარებელი ხასიათის ადამიანი, მაგრამ სამაგიეროდ პატიოსანი-ნამდვილი ძველი რომაელი; სახის მოყვანილობათაც კი რესპუბლიკის დროინდელ სენატორს მოგავგონებდათ, ჩაცმულობითაც, გრძელი ხშირად — დაკეცილი მუქი წითელი ფერის სამოსით, ფლორენციის მოხელეს ჰგავდა, ვით რომაული ტოვით (მოსახხამით) მხარ დამშვენებული. ისე გატაცებით უყვარდა ძველი მწერლობა, რომ, როდესაც ტოსკანაში „მოდად“ შემოვიდა ბერძნული ენა და „სტუდიოში“ — მაშინდელ უნივერსიტეტში — კოსტანტინოპოლიდან ჩამოსულმა ბიზანტიელმა მეცნიერმა ემანუელ ხრიზოლოროსმა დაიწყო მეცადინეობა, მიუხედავად მისი წლოვანებისა, მესერ აგოლანტი, უკვე რესპუბლიკის მდივანი, მოურიდებლად ამოუჯდა გვერდში ბავშვებს და ანბანიდან დაიწყო ბერძნულის სწავლა, რომელიც ზედმიწევნით შეისწავლა ისე, რომ პირდაპირ დედანში კითხულობდა არისტოტელის ორგანონსა და პლატონის დიალოგებს. ერთი სიტყვით, გაიძვერა მატყლის მრეწველს უკეთესი სამოყვრო კაცი აღარ უნდოდა. დიდ მზითევს შეჰპირდა მათეო იმ პირობით, რომ მესერ აგოლანტის ალმიერის სახელისა და ტიტულისათვის შეერთებინა თავისი სახელი და ღირსება.

(შემდეგი იქნება).

გ. მუმლაძე.

